

საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამამუშავებელი დანადგარი

2013–2015 წლებში რუსთაველის ფონდის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი დაფინანსებით სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის “კვების ინდუსტრიის“ დეპარტამენტის თანამშრომლების (თ.მეგრელიძე, გ.გუგულაშვილი, ე.სადალაშვილი, ვ.ღვანელიანი) მიერ დამუშავებული იქნა საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამამუშავების ინოვაციური ტექნოლოგია და შესაბამისი მოწყობილობების მუშა ნახაზები; მოწყობილობა დამზადდა ლითონში და გამოიცადა შპს “არმატი-91“-ში (ქ. ლანჩხუთი).

გამოცდის შედეგების ანალიზმა აჩვენა ტექნოლოგიური პროცესის მაღალი ეფექტურობა და მოწყობილობის საიმედოობა. მიღებული პროდუქტი ხასიათდება მაღალი ორგანოლექტიკური მახასიათებლებით და ანტიოქსიდანტური თვისებებით. დადგენილი იქნა მწვანე ჩაის, მაცვლის, ვეკალიპტის, კაკეასიური დეკას და მრავალძარღვას გადამამუშავების რეჟიმული პარამეტრები და ტექნოლოგიური ინსტრუქციები.

ტექნოლოგია და მოწყობილობა საშუალებას იძლევა გადამამუშავების პროცესში მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ნედლეულის საწყისი შედგენილობა (ვიტამინები, ფენოლური შენაერთები და სხვ.) და გაუმჯობესდეს ანტიოქსიდანტური პოტენციალი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის “კვების ინდუსტრიის“ დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დამუშავებულ საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამამუშავების ინოვაციურ ტექნოლოგიაზე, შესაბამის დანადგარზე და გამოამუშავებულ პროდუქციაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან მიღებულია აღიარება (№04/494, 08/07/2015).